საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი
ქ.საგარეჯო

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება 3-5
2. ტექნიკური დავალება 5
3. სურათები და ორთოფოტოები 6-20
4. ხელშკერულების პროექტი.....21-24

საკონკურსო განცხადება

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ საგარეჯოში დავით აღმაშენებლის (3#–დან #58–ის ჩათვლით) ქუჩის რეაბილიტაციისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
   შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 13 თებერვლიდან.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 21 თებერვალს 13:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 21 თებერვალს 13:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ №9.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

14. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
  შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი, განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები;

ამასთან უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმაოდგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 5000 (ხუთი ათასი) ლარს არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.8
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19 გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

21 გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და არქიტექტურული დეტალები შეთანხმდეს თვითმმართველობასთან.

22 წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა მიზანშეწონილია არ აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

23 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშკერულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

24 საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირებისგან: გიორგი ბეჟიტაშვილი ტელ:577955890; თინათინ ძაბილაშვილი ტელ: 577 955849; ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ№9.

ტექნიკური დავალება

ქ.საგარეჯოში დავით აღმაშენებლის (№3–დან №58–ის ჩათვლით) ქუჩის არქიტექტურული დაგეგმარება:

1. ქ.საგარეჯოს ცენტრში დავით აღმაშენებლის და ერეკლე II-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მოედნის კეთილმოწყობა ქვაფენილით სავარაუდოდ 2500მ²–ზე.
2. დავით აღმაშენებლის ქუჩის №18–ში და №20–ში მდებარე შენობების დემონტაჟის შემდეგ ორი დასასვენებელი სკვერის მოწყობა;
3. დავით აღმაშენებლის (№3–დან №58–ის ჩათვლით) ქუჩაზე არსებული შენობების ფასადების შეღებვა რეაბილიტაცია, იერსახის შეცვლა.
4. დავით აღმაშენებლის ქ№13–ში მდებარე კულტურის სახლის შენობის ფასადების რეაბილიტაცია, შენობის მარცხენა ღია ფლიგელის დახურვა (გამჭვირვალე) და კეთილმოწყობა;
5. ტროტუარების მოწყობა რეაბილიტაცია დავით აღმაშენებლის ქუჩის №3–დან №19–ის ჩათვლით;
6. კეთილმოწყობისა და გამწვანების შემუშავება;
7. ერეკლე II-ის ქუჩაზე კულტურის სახლის გვერდით მდებარე სკვერის რებილიტაცია.
8. მუნიციპალური შენობის მშენებლობა დავით აღმაშენებლის ქ№9–სა და №13–ს შორის სავარაუდოდ 100მ² ფართის,გამჭვირვალე.

9. ქუჩის გარე განათების განახლება ახალი თანამედროვე დიზაინით. დეკორატიული განათების მოწყობა ხიდიდან დავით აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთამდე.

<u>შენიშვნა: საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი იყოს როგორც 3D ვიზუალითა სევე პრეზენტაციის სახით</u>

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს

საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წამოდგენილი უნდა იყოს როგორც ქართულ ენაზე და უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. ტოპო გეგმა (დატანილი კეთილმოწყობის გეგმა);
3. ვერტიკალური გეგმარება;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
6. ხარჯთაღრიცხვა;

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

მოედნის კეთილმოწყობა ქვაფენილით სავარაუდოდ 2500მ²–ზე.

დავით აღმაშენებლის ქუჩის #18–ში და #20–ში მდებარე შენობების დემონტაჟის შემდეგ ორი დასასვენებელი სკვერის მოწყობა

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაცია და იერსახის შეცვლა

დავით აღმაშენებლი ქ#13–ში მდებარე კულტურის სახლის
შენობის ფასადის რეაბილიტაცია და მარცხენა ღია ფლიგელის დახურვა და
კეთილმოწყობა (გამჭვირვალე
დახურვა)

მუნიციპალური შენობის მშენებლობა დავით
აღმაშენებლის ქ.#9–სა და #13–ს შორის სავარაუდოთ 100მ^2
ფართის, გამჭვირვალე და

ტროტუარების რეაბილიტაცია



PSP

PSP

1
Bank of Georgia

2
Bank of Georgia

14:02
sagarejo, kakheti
3
3
3
3
3
3
Bank of Georgia
Service Center 126
Rustaveli Street

4
Bank of Geor
Service Center

5
5
5
5
Bank of Georgia
Service Center 126

Bank of Georgia
Service Center 126
Rustaveli Street

7
Bank of G
Service Cen
10

8


9
9
9
Bank of Georgia
Service Center 126
Rustaveli Street

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. საგარეჯო 2012 წელი

ერთი მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებლის გია ჩალათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, --- (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებეს შესყიდვას.

1.5,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას (თანმხლები მომსახურებით) ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ,,ტექნიკური დავალება“ - საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ საგარეჯოში დავით აღმაშენებლის და ერეკლე II–ის ქუჩების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელედება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედდებული) საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურების აღწერა;
- გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. საგარეჯო

6.2 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 10 დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსზღვრული პირი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი